

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის
ოქმი № 1

03.05.2022წ.

ქ.ლაგოდეხი

სხდომას ესწრებოდნენ:

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის თავმჯდომარე: კარლო ჯამბურია.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

/მომხს: კ ჯამბურია/

2. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023წწ. სამოქმედო გეგმის პროექტის შესახებ.

/მომხს: შ. ხაჩიაშვილი/

3. სხვადასხვა.

მოისმინეს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

მომხსენებელმა კ. ჯამბურიამ საბჭოს წევრებს გააცნო ის პრინციპები და მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად დაედო გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობით ფორმირებას და ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

2. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023წწ. სამოქმედო გეგმის პროექტის შესახებ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა პუნქტობრივად განიხილეს 2022-2023წწ. საბჭოს სამოქმედო გეგმის პროექტი. პროექტი შემუშავებული იქნა საბჭოს წევრების მიერ 2018-2019 წწ. გეგმაზე დაყრდნობით. საბჭოს წევრები ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ შეთანხმდნენ, უახლოეს დღეებში წარმოადგინონ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით წინადადებები და რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნება საბჭოს სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიაში.

გენდერული თანასწორობის საბჭოს

თავმჯდომარე:

გენდერული თანასწორობის საბჭოს

მდივანი:



/კ. ჯამბურია/

/თ. მუმლაძე/